



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის #084/17¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

მარიამ ბეკოშვილი (სტუდენტი)

საქმის ფაქტები:

ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დაწყების შემდეგ მოსარჩელებმა ადვოკატს ჰონორარი სრულად გადაუხადეს. მას უნდა წარმოედგინა საჩივრის ავტორთა ინტერესები ყველა ინსტანციის სასამართლოში მათ მიმართ თანხის დაკისრების და მათი ქონების რეალიზაციის საკითხზე და ეწარმოებინა მოლაპარაკებები მოწინააღმდეგე მხარესთან. ადვოკატს დადგენილი წესით 20 დღით ადრე ეცნობა დანიშნული სხდომის თარიღის შესახებ, თუმცა ის არ გამოცხადებულა. თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული დაუსწრებელი გადაწყვეტილებით მოპასუხე მხარეებს დაეკისრათ მოსარჩელისთვის დავალიანების - 21.000 აშშ დოლარის გადახდა. გადაწყვეტილების გამოტანის დღეს ადვოკატმა თბილისის საქალაქო სასამართლოში წარადგინა განცხადება, რომ მას დაავიანდა სასამართლო სხდომაზე გამოცხადება, ხოლო მისმა მარწმუნებლებმა არ იცოდნენ სხდომის თარიღის თაობაზე. მოგვიანებით ადვოკატმა გაასაჩივრა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რაც არ დააკმაყოფილდა, ამიტომ საჩივრით ადვოკატმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიმართა. მოსარჩელებმა დამოუკიდებლად მიმართეს სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვეს სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლება, რის შეგედაგად შეუმცირდათ ბაჟის ოდენობა, თუმცა მათ ვერ მოახერხეს მისი გადახდა დადგენილ დროში და თბილისის სააპელაციო სასამართლომ მიიღო განჩინება საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე.

პროცესუალური ისტორია:

ეთიკის კომისიას მიმართეს კლიენტებმა და მოითხოვეს ადვოკატის დისციპლინირება. საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 5(ა), 6.2, აპკ-ის 8.5, 8.6 და 8.15 მუხლების დარღვევის ფაქტებზე.

სამართლებრივი შეფასება:

კლიენტი სასამართლოში წარმომადგენლობისთვის ადვოკატს საქმეს მისი პროფესიული უნარ-ჩვევების გამო ანდობს, რათა მისი ინტერესების დაცვისთვის იმოქმედოს. მოცემულ შემთხვევაში ადვოკატი არ გამოცხადდა სხდომაზე. კოლეგია აღნიშნავს, რომ იმ შემთხვევაშიც, თუკი კლიენტებს ჰქონდათ შესაძლებლობა გამოცხადებულიყვნენ სასამართლო სხდომაზე, აღნიშნული არ ათავისუფლებდა ადვოკატს პასუხისმგებლობისგან არ გამოცხადებულიყო სხდომაზე, როგორც თავისი კლიენტის ინტერესების წარმომდგენი. ადვოკატის მიერ მასზე მინდობილი საქმის სრულყოფილად და კეთილსინდისიერად წარმოება შეუძლებელია კლიენტის ინფორმირების ვალდებულების დაცვის გარეშე. ინფორმირების ვალდებულება მოიცავს კლიენტისათვის მის საქმესთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდებას, ისე რომ აღნიშნული ვალდებულების

¹ https://gba.ge/pdf/5f47ae53e3733.pdf/084_17,%2027.07.18,%20gaftrkhiileba.pdf

შესრულება იყოს დროული და შედეგიანი კლიენტის ინტერესებისთვის. მარწმუნებლებმა არ იცოდნენ სხდომის თარიღის თაობაზე. ადვოკატს უნდა გამოეჩინა სათანადო პროფესიული გულისხმიერება, მოსალოდნელი საფრთხე წინასწარ განეჭვრიტა და დროულად შეეტყობინებინა თავისი კლიენტებისთვის სასამართლო სხდომის თარიღი, რითაც თავიდან იქნებოდა აცილებული დამდგარი შედეგი. მოცემულ შემთხვევაში ადვოკატს არ განუხორციელებია შეთანხმების შესაბამისად საადვოკატო მომსახურება მიღებული ჰონორარის ფარგლებში. მას უნდა წარმოედგინა ვანიუშა და ვარა ხარებაების ინტერესები სამივე ინსტანციის სასამართლოში. მან იმოქმედა არა საზიანო შედეგის თავიდან აცილებისთვის, არამედ შემდგომ, უკვე დამდგარი ზიანის, რომელიც ვერ გამოსწორდა ბაჟის გადაუხდელობის გამო.

დასკვნა:

ეთიკის კომისიამ დაადგინა ადვოკატის მიერ ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 5(ა), 6.2, აპეკ-ის 3, 8.5, 8.6 და 8.15 მუხლების დარღვევა. ადვოკატს სახდელად განესაზღვრა გაფრთხილება.